მოგახსენებთ, რომ ჩვენს განაცხადში (AR1801202) დაფიქსირებული მოთხოვნის ტექსტით ვითხოვეთ, რომ პროექტის შეთანხმების ბრძანების პირობადადებულობა გამოხატულიყო მხოლოდ კონსტრუქციული პროექტის და შესაბამისი საექსპერტო შეფასების მოგვიანებით წარმოდგენაში.

ხოლო, მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, გრგ-ს მიხედვით, მოხდებოდა მშენებლობის ნებართვის სტადიაზე.

თქვენი გადაწყვეტილებით, ბრძანების პირობადებულობა გამოიხატება, როგორც კონსტრუქციული პროექტის და შეფასების წარმოდგენისთვის, ასევე მიწის ნაკვეთისთვის გამიჯვნისთვის ვადის დადგენაში.

მაგალითად, თუ ჩვენ თქვენს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოვადგინეთ კონსტრუქციული პროექტი და მისი შეფასება, მაგრამ ვერ მოვახერხეთ მიწის ნაკვეთის გრგ-ს შესაბამისად გამიჯვნა, ბრძანება ჩაითვლება ძალადაკარგულად.

მსგავს საკითხებზე უკვე მიღებული გაქვთ არაერთი გადაწვეტილება, რომლითაც პროექტის შეთანხმების ბრძანების პირობადადებულობა გამოიხატება მხოლოდ კონსტრუქციული პროექტის და მისი შეფასების წარმოდგენისთვის ვადის განსაზღვრაში, ხოლო მიწის ნაკვეთის გამიჯვნა წარმოადგენს ნებართვის აღებისთვის საჭირო გარემოებას (და არა პროექტის პირობადადებულობის შემადგენელ კომპონენტს). ეს პრაქტიკაა განვითარებული შემდეგ განაცხადებაში: AR1801550, AR1800535, AR1800587.

შესაბამისად, გთხოვთ, რომ პირობადადებულობის საგნად დატოვოთ მხოლოდ კონსტრუქციული პროექტის და შესაბამისი საექსპერტო შეფასების წარმოდგენა.